წელიწადი 1-ლი ტელეფონი № 76. შაბათი 27 მაისი 1917 წ.

ჩვენი კვეყანა

გაზეთის ფასი: წელი რად. 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. თვიურათ 1 მან. და 50 კ. ცალკე ნუმერი ფასიდი კაპ. წელიური ხელის მოწერილებს გაზეთი გადაეცემა ფასი შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილ-ათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სანი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენი სექტემბრის პირველ-ლად. რედაქცია და კანტორა იმყ. ქ. თბილისში 3 ს. ვიხელაშვილის ს. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5 8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

განცხადების ფასი: 15 მან. პირველ გვერდზე სტრიქონი 8 მან. ღირს 20 კ. უკანასკნელ გვერდზე 10 კ. ქალაქ გარეშე მიღებული განცხადებისა და რეკლამების ფასი ორმაგია. განცხადებათა ფასი თვითეულ ნომერში სხვა-დასხვაგვარია. ფასი შეთანხმებით.

№ 38 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 38

დიმიტრი, ოლღა, მაშა, საშა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველნი უძვირფასესი შვილისა და მეორენი საყვარელი დის 5 კლასის მოწაფის კაუჩუკ შვილის გიმნაზიისა

მარუსია დიმიტრის ასულისა ეგანოვისა

გარდაცვალებას. გარდაიცვალა 24 მაისს. დაკრძალვის დღე დანიშნულია 28 მაისს კვირას 3 საათზე დაბა ძირულაში საკუთარ სახლში.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

უგუნოვის დაღი

უძლური და ხალხის მოკლებული ფსიქოლოგიური დრამა ნ. კარნ ბრამსონის რომანის. ხუდოლეევისა და ფეზნერის მონაწ.

ანონსი: 29 მაისს 1917. კოლოსალური პროგრამით

ჩარქმოცხებული

დრამა 6 ნაწ. ნ. ა. ლისენკოსი ნ. ვ. ტანოვის. ნ. ას. რიმსკის მონაწ. ამ მოკლე ხანებში ნაჩვენები იქნება საუცხოო სურათი დღიურ პრო-გრამაზე 1 სერია გ. რასპუტინის სიკვდილი 2 სერია. შეტანებენ რომანოვიანი დინასტიასა.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის სახაფხულო განყოფილება!

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

ხუთშაბათიდან, 25 მაისიდან **ხაუცხოვო სურათი!**

კოკაინის შეჩვეული ქალი

(სიკვდილის ფრთებს ქვეშ). დრამა 4 ნაწ. ლისენკოსი, გაიდაროვისა და ტრეტიაკოვის მონაწ.

სიყვარულის სტრატეგია

სახუმარო.

ანონსი: 29 მაისს 1917 საგანგებოსმიერო პროგრამით **კარიერა გაქცეული კატორღელისა** დრამა 5 ნაწ. **იდეალის** და ალბერტო კოლის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში იხსნება სახაფხულო თეატრის განყოფილება!

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ **აბაშაში** და **ახალსენაკში** იყიდება ჯამონეთი (არა ნაკლებ 1000 ფუთისა) ადგილობრივი **სიმიდი** ფუთი 2 მან. 87 კაპ. ვაგონებში დატვირთვით.

სიმიდი შეუძლიათ შეიძინონ მსოლოდ კოოპერატივებმა და სასურსათო კომიტეტებმა შემდეგნაირათ:

ფუთზე 2 მან. 87 კაპ. ანგარიშით უნდა შეიტანონ ხელფასი ფული ქუთაისის ხაზინაში ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე (на текущій счетъ Кутаисскаго Губернскаго Продовольственнаго Комитета) № 79304 და კვიტანცია წარმოადგინონ კომიტეტში, რის შემდეგ კომიტეტი გასცემს სათანადო განკარგულებას ნაყიდი სიმიდის მყიდველისათვის გასაცემად

3-1 ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჭიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს 27 მაისს 1917 წ. სატახტო ქალაქების პეტროგრადის და მოსკოვის მიხედვით გაიმართება დიდი პომპეზიური წარმოდგენა

შაფათელა

მხოლოდ დღეს გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენები საუცხოო პროგრამით. დიდებული სანახაობა. **გრანდიოზული ჰაერში მოქმედება. ცირკის კუპოლთან**

ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი

გატსროლი გამოკვეთილი გინეანატის სიკვდილის გეწყეზე

უძარღვო კაცი კრისტი

უგანსაკუთრებული ახალგაზრდა ქალის ეროტიკული **ჟენიანი.** და სხვა 7 დღე საერთაშორისო ჩემპიონ ქალთა ფრანგული

ჭ ი დ ა ო ბ ა.

დღეს იჭიდავებს 3 წყვილი გამოჩენილი მოჭიდავე: 1 წყვილი. დანიის ჩემპიონი ქალი ჰეტკრსონი და ბელგეთის ჩემპიონი ქალი დეზტელი. 2 წყვილი იქიდავებენ ორი საუკეთესო მოჭიდავე ტურქესტანის ჩემპიონი ქალი სულეიმანი და მკრივაზის ჩემპიონი ქალი ანატეს 3 წყვილი ჰოლანდიის ჩემპიონი ქალი ანტოვსკი და რუსეთის ჩემპიონი ქალი ემტერესკო წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. დასაწყისი ჭიდაობისა 10 საათზე.

დ ღ ე ს:

წერილები:

ირ-და—ეროვნული ცხოვრებისათვის.
ნ. ასათიანი—წერილები ჯარიდან.
ქართული პრესა.
მთიელთა კონსტიტუცია.
ჯიხ ომი.
ცნობები:
რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნული კითხვა. სრულიად რუსეთის ყრილობა. მრეწველობის კრიზისი. შეერთებული შტატების ომი. მინისტრ-სოციალისტების მოხსენება მუშ. დ. ჯ. კაცია დეპუტატის საბჭოში. პასუხი აკ. ნინოშვილიძეს. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბები.

მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადას ჭრის შემდეგ საკითხს.

რიცხვის ცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა აქტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. **რედაქცია**

ეროვნულ ცხოვრებისათვის

ქართულ ცხოვრებაში ბრძალ-გვარმა კრიზისმა მოიდგა ფეხი ზოგი მათგანი ჩვენს არსებობას ბეწვზე ჰკიდებს, ასეთია სურსათ-სანოვაგის კრიზისი. ეს კრიზა ხანაა საგრძნობი შეიქმნა ქართველ ხალხისთვის და ჩვენ იმდროსაც ვერ მივმართეთ რადიკალ ზომებს, როდესაც შიმშილმა „უკიდურესი სისაზარლით დაგვანახა თავისი სახე.

შიმშილის გარდა ჩვენ განვიცდით სხვა კრიზისებს, რომელიც ჩვენს მომავალ ცხოვრებას დაღუპვით ემუქრება. ეს არის ქართულ ეკონომიურ ცხოვრების უმწეო მდგომარეობა. ომიდის განუვითარებელი. იყო ქართველი წარმოება და მას ვერაფერი ვეშველეთ. ომის შემდეგ დაიწყო „რღვევა“ ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა.

ასი წლის უნიათო ცხოვრებამ ყველაფერი აგვიფორიაქა და საკუთარ ოჯახში სტუმრებად გვგეხდა. ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ეროვნულ ეკონომიკის და მრეწველობის მნიშვნელობას. არ ვითვალისწინებთ იმ რთულ მდგომარეობას, რომელიც ომის დასასრულის შემდეგ დამყარდება. დღეს ქართული წარმოება უკიდურესად დაქსაქსულია, ვაჭარ-მრეწველნი ვაიფუნტ გამოიფანტენ. ორგანიზაციობა რომელიც ერთი უკლებლივი პირობაა ეროვნულ კაპიტალის დასაგროვებლად დღემდის ვერ შეექნით. ყურადღებას არ ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ დღეს ომის გამოისობით ფან დათან ისპობა სხვადასხვა საწარმოო მასალის შემოზიდვა. საქართველოში აღარ შემოდის ფოლადეულობა, რკინეულობა და ვერ ვშოულობთ აგრეთვე მიწის დასამუშავებელ მანქანებს. ასეთი ვითარება უდი დესი ყურადღების ღირსია, რადგან მასზეა დამოკიდებული ერის ცხოვრება. ყველასთვის ცნობილია, რომ ამ ომის დროს ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში დიდი კაპიტალი დაგროვდა. ზოვის ჩამოგდების შემდეგ უცხო კაპიტალისტები ქალაისავით მიესევნ ადვილად საწყწნავ ქვეყნებს. ჩვენი უპატრონო ქვეყანა უცხო კაპიტალისტების ლუკმა გახდება, რადგან ისინი სქელ ჯიბიანები არიან და ადვილად მოახერხებენ სხვადასხვა კონცესიების ხელში ჩაგდებას. ამასწინად გაზ. „ბორ. ვეც.“ კიდეც სწერდა, რომ ამერიკის კაპიტალისტებს რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან მოლაპარაკება აქვს რუსეთის ზეის საწყლობელობებში რკინის გზების გაყვანის წყალობა ექსპლუატაციის და სხვა წარმოებათა ნებართვის მისაღებად. უცხო კაპიტალი ყოველ ერისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. მით უფრო საშიშია ის უორგანიზაციო ხალხისთვის, სადაც უცხო კაპიტალი ადვილად იპყრობს ბოლმე ეკონომიურ პოზიციებს. ქართულ ცხოვრებისთვის უადრესად სახიფათო იქნება მომავალში უცხო ვაჭარ-მრეწველთა გაძლიერება. იგი ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ბრკყალებში ჩაიგდებს და ჩვენი თვით მოქმედების სარბიელს შეავიწროებს. ამისათვის გვმართებს ფართე და ენერგიულ ღონისძიებათა გამონახვა. გუშინ წინდელი.

გაზ. „საქართველო“ შეეხო ჰიათურის გამოსყიდვის კითხვას და აღნიშნა, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, შესაძლოა ჰიათურა ხელიდან გამოგვეცალოს, რადგან სახელმწიფოს სოხის კაპიტალისტები უფრო მეტს აძლევენ ეს ამბავი იმდენად დიდმნიშვნელობის არის, რომ მასს ა ერთო ყურადღება უნდა მიექცეს. ჰიათურა, რაოდაც არ უნდა დაჯდეს, აუცილებლად ქართველმა ხალხმა უნდა გამოისყიდოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ უცხო მწარმოებელი, რომელიც ჰიათურაში ჩამოთესლდებიან, ძლიერ გაუადვილებათ საქართველოს სხვა საწარმოო ადგილების დაპყრობაც. ეს კი სიკვდილი იქნება ჩვენი. ეკონომიურად უძლური ერი პოლიტიკურადაც უსუსური იქნება. თანამედროვე სახელმწიფონი ეროვნულ ეკონომიას აქცევენ უდიდეს ყურადღება და უდიდეს მრეწველებადაც გამოდიან. ამიტომ გემართებს, ერის საჭიროებათა ღრმა განცდა და შეგნებანი. დღეს ქართველ ხალხში ქალალდის ფულის სახით დიდი სიმდიდრე დაგროვდა. ეს სიმდიდრე თითოეულმა ისე უნდა დაანაწილოს, რომ თავისი საჭიროც გაკეთოს და ჩვენს დაბეჩავებულ მრეწველობას, მეურნეობას განვითარების მეცდრი საფუძველი ჩაუყაროს.

ვინ არ იცის, რომ ქალალდის ფული პრობლემატიური სიმდიდრეა? ხალხმა შეძენილი ქალალდის ფული დღესვე ქვეიდრ წარმოების ან უძრავ ქონების ხელში ჩაგდების უნდა მოახმაროს. მაცდამ ვან უნდა გაეხსოვდეს, რომ ეროვნულ არსებობისთვის საჭიროა შინაური ცხოვრების საფუძველთა გასალკლდევება. ჩვენი ქვეყანა უცხო მოდგმის ხალხს ერთი თვალის გადავლებით გულისა და თვალის საგანძურად უხდება. მხოლოდ ჩვენ კი, მის პირმშო შვილი, ვერ შეგვიქნია მის წიაღში მტკიცე ქართული ცხოვრება, ერი უტერიტორიო და ეკონომიურად უძლური არსად არ გახარებულა.

პირიქით იგი ყველგან გადაგვარებული.

ამიერიდან ეროვნული მიზანი რეალურ მოქმედის გეგმად უნდა გავიხადოთ. ერი ვნული შეგნება უნდა იქონეს ღრმა და არა ზერელე. ქართველმა გულხმა, ვაჭარმა, თუ მოხელემ მტკიცედ უნდა შეიგნოს თავისი მოვალეობა. გვჭირია მუშაობის ორგანიზაცია, შეგნებული, ენერგიული ეკონომიური ინიციატივა და სათანადო ზნე-ჩვეულებათა დამყარება.

ირ-დი.

ქართული პრესა.

ქალაქის თვითმმართველობის არჩევნები უკვე მომენტის კითხვად გარდაიქცა და, თუ ამდენ ხანს ქალაქის სვე-ბედი მარტო რჩეულთა ხელში იყო, დღეიდან მის მზრუნველად ფართო დემოკრატიული მასსაც გამოვა. ეს იქნება საუკეთესო საწინდარი იმისი, რომ ქალაქის საქმეები უკეთ წავა და შენ-ჩემობია იქ ამიერიდან ფესვებს ვეღარ გაიდგამს. გაზეთი „ერთ ბაც არკვევს ამ კითხვასა და თბილისის მომეფალ არჩევნების შესახებ ასე სწერს № 54-ში:

თფილისში კვირადან ხმრჩევედთა ბლეწერა მოხდება. კანს საეწვოა, რომ ჯერეთ კრატა ძალდასუ და ფეხს არ დაიშურებს რომ სარჩევნო სიადან დემოკრატია განდევნოს, მაგ. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელნიც სარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან! სიხარბ გვლდებულია მთელი თავისი ძალღონით შეეცადოს ხელისუფლების ორგანოს ჩაფუშოს.

მსოფლიო ომი.

ჯ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

პეტროგრადი. მაისის 24 **დასავლეთის რუმინეთის და კავკასიის ფრონტები** უცვლელადაა.

იტალეთის ბანაკის ცნობა.

რომი. მაისის 24. ოფიციალი. კარნის ფრონტზედ სუსტი საარტილერიო ბრძოლაა. კარსოში“ ძლიერი ბრძოლის შემდეგ მტერს უკან დავახევინეთ კონსტანუვიდან მთის გრეხილამდე და მთის ფრონტზედ ჩვენ მტრის თხრილების ნაწილი დავიჭირეთ. ლამიონოს სამხრეთით ჩვენ იძულებულნი ვიყავით უკან დაგვეხია, მაგრამ კონტრ-იერიშებით ჩვენი პოზიციების ძველი ხაზი ისევ აღვადგინეთ.

ბრიტანეთის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მაისის 23. ოფიციალი. ლანგოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით არმანტიერის სამხრეთით წარსულ ღამეს ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის რაზმები. იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ ღამის განმავლობაში რამდენჯერმე მტერს თავს დავესხით და ბევრი ტყვე წამოვიყვანეთ.

ლონდონი. მაისის 23. ოფიციალი. მტრის ჰაეროპლანები თავს დაესხნენ თემზის სათავეს და ესკესა და ლენჩის ოლქებში ყუმბარები ჩამოაგდეს. დაწვრილებითი ცნობები არ მივიღეთ.

ლონდონი. მაისის 23. საღამოს ოფიციალი. სუშეს სამხრეთით წინ წავიწიეთ და დავიკირეთ იმათის სამხრეთით მდებარე ელექტრონის სადგური. დავატყვევეთ 75 კაცი, მათ შორის 1 ოფიცერი.

მფრინავთა მოქმედება. გერმანელთა 18 ჰაეროპლანი ესკეს სანაპიროებს თავს დესხა და თემზის და მელუს შესართავში მდებარე ჩვენ სახელთა შენაერებში ყუმბარები ჩამოაგდეს. ჩვენ მტრის 12 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ, ხოლო 6 დავაზიანეთ ჩვენ 3 ჰაეროპლანი გვაკლია.

საამირბარო ცნობა.

ლონდონი. მაისის 23. მაისის 22 ღამ ჩვენ ყუმბარა დავუშინეთ მტრის ესკადრას და გენტასთან სენ-დენისა და ვენტრენის ჰაეროპლანთა სადგომშიაც ჩავაგდეთ რამ დენიმე ყუმბარა. ამასთანავე ჩვენ იერიშით შევიტანეთ მტრის ჰიდროპლანთა ბაზაზე ზეებრიუგესთან.

ლონდონი. მაისის 23. ოსტენდეში მტრის ქარხნებს და საზღვაო ბაზას ყუმბარას უშენდნენ. მტრის ხელეთის ბატარეია უნაყოფოდ სროლითვე გვიპასუხებდა. ჩვენი კრეისერები და ნაღმის განმანადგურებლები მტრის კრეისერსა და ნაღმის განმანადგურებლებს შეებრძოლნენ. მტრის ერთი გემი დავლუპეთ, 7 დაგატყვევეთ.

საფრანგეთის მთავარ ბანაკის ცნობა.

პარიზი. მაისის 23. საღამოს ოფიციალი მთელს ფრონტზედ დროგამოშვებითი სა

რტილერიო ბრძოლაა, ნამეტნავად ბელგეთის ფრონტზედ იურტებისა და ფოკლერის ზეგანთა რაიონში.

პარიზი. მაისის 23. დღის ოფიციალი (?) სამხრეთ რაიონში საართილერიო ბრძოლაა. ღამე ჩვენ ძლიერი კონტრიერიშით დავიბრუნეთ წინა ღამეს დაკარგული თხრილები. მაშასადამე დროგამოშვებით საართილერიო ბრძოლაა. ობერნისა და ტაგიუროშის შუა მტრის თავდასხმებს ვიგერიებდით.

მფრინავთა მოქმედება.

ჩვენი 7 ჰაეროპლანი, მაისის 22 ს ღამით, თავს დაესხა ქალაქ ტრირს და 1.000 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარა. ჩვენმა საჰაერო ესკადრებმა ყუმბარა დაუშინეს რკინის გზის სადგურებს ლიერუსა და ვარდენაკს და ლიანის რაიონში მდებარე სამხედრო საწყობებს. ჩვენმა მფრინავებმა მტრის 6 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს და 7 დააზიანეს.

ბელგიის ბასკის ცნობა.

ჰავრი. მაისის 23 ოფიციალი. ღამის განმავლობაში რაზმ ჰელეს, დიქსმიუდესა და გეტზასმის რაიონ'ში სუსტი საართილერიო ბრძოლა იყო. დიქსხოროტის რაიონ'ში ჩვენმა ბატარეიამ მტრის არტილერია ძლიერ საართილერიო ცეცხლ'ში გაახვია.

ტყვე პარლამენტერების განცხადება.

ადესა. მაისის 20 (დაგვიანებულია). უკანასკნელ დროს დატყვევებულმა პარლამენტერებმა განაცხადეს, რომ ჩვენი მოვლენობა იყო თქვენთან მოლაპარაკების დროს თქვენი ზურგის სიმაგრენი დაგვეთვალიერებინა.

ზღვაზე

სევასტოპოლი. მაისის 23. რუსის ნაღმოსნებმა ანატოლიის 7 პორტს ყუმბარა დაუშინეს. განადგურებულია საინტენდანტო საწყობები, ნავთსაყუდელი და პორტის შენობები.

მფრინავთა მოქმედება.

რიგა. მაისის 17 (დაგვიანებულია). მტრის მფრინავებმა 5 ყუმბარა ჩამოაგდეს მიგრან შესამჩნევი ზარალი არა ყოფილა.

რიგა. მაისის 23 სტეფანის საადგილო იუწყება: მაისის 23-ს ღამით ვენეციის მიდამოებში მტრის 3 ჰიდრა-ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. 1 მკვლელია, ერთი დაჭრილი.

გემი „ოტენი"-ს დაღუპვა.

სტოკჰოლმი. მაისის 23. კვირას, შვეციის და ფინეთის გზაზე დაღუპულია ფინეთის გემი „ოტენი". გემზე მოსამსახურენი შვედელმა შხუნამ გადაარჩინა და სტოკჰოლმში მოიყვანა.

რევოლუციის ამბები

(ს. დ. ს.)

დეპეშები

პეტროგრადი, და მუშათა საბჭო

მოგილიოვი, მაისის 22. მუშათა და ჯარისკაცთა ადგილობრივ საბჭოს დადგენილებით დაიკეტა ზუსმანის სტამბა, სადაც აწყობდნენ პურიშკევიჩის წერილს პოლშევიკების მიმართ. პურიშკევიჩი მოუწოდებდა პოლშევიკებს მოკავშირეებთან კავშირის შესაწყვეტად. საბჭომ რეზოლუციით საჭიროდ სცნა პურიშკევიჩის დაუყოვნებლივ დაპატიმრება და სახელმწიფო სათათბიროს წევრის სახელის ჩამორთმევა. ეს დადგენილება მოგილიოვში მყოფ კერენსკის წარუდგენენ მან განაცხადა: რუსეთში სიტყვის თავისუფლებაა და ამგვარ რეპრესიებს საფუძველი არა აქვსო.

შრომის შემოდება სახლვარ სასწავლებლებში

პეტროგრადი. მაისის 23. მაისის 22-ს კერენსკიმ ბრძანება გამოსცა ფიცერთა კოლეგიის გადმოკრატებისათვის. ამიტომ, როგორც თვითონ კერენსკი ამბობს, საქმის ფესვში ჰკიდებს ხელს, სახელდობრ სახლვარ სასწავლებლებს. კერენსკის ბრძანების მიხედვით, სახლვარ სასწავლებლების მოწვეული მარტო ფიცერთათვის საჭირო ცოდნას კი არ უნდა იძენდენ, არამედ ისინი ფიზიკურადაც უნდა ვითარდებოდნენ და მეზღვაურისათვის საჭირო შრომას უნდა ეჩვეოდნენ. მხოლოდ მაშინ შეესისხლხორცება ფიცერი მეზღვაურთა და ჯარისკაცთა ცხოვრებას, როდესაც ამგვარ ცხოვრებას მოწყობიდანვე მიეჩვევაო. მომავალი ფიცრები მეზღვაურისათვის საჭირო დავალებულ საქმეს რომ არ უფრთხოდნენ, საქმე მათ არ უნდა აშინებდეთ და ამიტომ კერენსკი ავალებს სასწავლებლის უფროსებს მოწაფეთა სწავლის დროს ისე გაანაწილონ, რომ რამდენიმე საათი მათ ფიზიკურ განვითარებასაც მოახმაროთნო. ფიზიკურ განვითარებაკი თავის ოთახებისა, ბარგის, კლასების, სასადილო და სძინელო ოთახების მოვლა-ალაგებაში უნდა გამოიხატებოდესო, ამას გარდა მოწაფეებმა გემიც უნდა გასწვინდონ. ერთის სიტყვით რასაც აქამდე მოსამსახურენი აკეთებენ, ეხლა მოწაფეებმა უნდა გააკეთონ. ამით ჯერ, ერთი, მათზე დაბანდებული მუშა ხელი შემცირდება და მათ სხვა საქმეზე მოიხმარენ და მეორეც, მოწაფეები ბუნებრივად განვითარდებიან ფიზიკურად. ამ ბრძანების შესასრულებლად და მოქმედების გეგმის შესადგენად კერენსკიმ დაავალა ყველა სახლვარ სასწავლებლის გამგეს სასწავლებელთა უფროსების საბჭოს მოუწვევა.

მინისტრების მოგზაურობის მიზანი

დონის-როსტოვი. მაისის 16. (დაგვიანებულია) ფინანსთა მინისტრმა დონის ოლქის სასურსათო კომიტეტის ყრილობაზე კრებას თვალწინ დაუყენა დონის ბრის მწვავე სასურსათო მდგომარეობა. შინგარიოვმა განაცხადა, რომ მინისტრებმა რუსეთში მოგზაურობა გადასწყვიტეს, რომ ადგილობრივად გაეცნონ მდგომარეობას 4) რუსის ხალხი უნდა შეერთდეს და აიძულოს გერმანეთი და მისი მოკავშირენი მიიღო სნება და სურვილი რუსეთისა და მისი მოკავშირეებისა. თავისუფალ რუსის ხალხის სიამაყეს მოვეწყობით ყურად იღონ ჩვენი სიტყვა".

შაბათს 27 მაისს საღამოს **სრულ** 5 საათზე ქ. ქუთაისში დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა (განურჩევლად სქესისა) საზოგადო კრება (მისაბარათი: ვარანცოვის ქუჩა, ეროვნულ დემოკრატთა სალექციო დარბაზი. ოცნების შენობაში ,,რეიმს'' ის გვერდით) განსახილველია საყურადღებო კითხვები. პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს **უსათუოდ** დესწრონ ამ კრებას, რადგან დამსწრეთა რიცხვის და მიუხედავად, კრებაზე მიღებული რეზოლუციები ყველა ამხანაგისათვის **სავალდებულო** იქნება.

ერთჯერ. დეპოკრ. სტუდ. წრის პრეზიდიუმი.

ახალი ამბავი

27 მაისის გაზეთ ჩვენი ქვეყანის 38 ნომრის თან ახლავს დამატება; ქუთაისის საარგილ-მამულო ბანკის გამგეობის განცხადება.

◆ სასურსათო საქმე. გუშინ ქუთაისში დაიჭირეს 400 ფუთზე მეტი გადამალული ფქვილი და 128 ფუთი შაქარი. ეს სანოვაგე ეკუთვნოდა მირაბოვს და ძ. ჩილიგაროვებს. ამავე დღეს რაიონის სადგურზე დაიჭირეს რამდენიმე ტომარა, სხვადა სხვა სანოვაგე.

◆ ქუთაისის სასურსათო კომიტეტის სტატისტიკური ბიურო მოთხვსებულია ქუთაისის გუბერნის კომისარიატის სადგომში ცნობების მიღება შეიძლება დილის 10 საათ. 2 საათ. და ნაშუადღევის 5 საათ. საღამოს 7 საათამდე.

◆ სიმინდი. ქუთაისის შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობამ მიიღო დიდძალი ქარი ღორსების სიმინდი.

◆ მასწავლებელთა და სამხედრო ბეგარა. კავკასიის საფრონტო ყრილობამ შეუძლებლობის ცნო ომში გაწევეულ მასწავლებლების უკან დაბრუნება, რადგან მათი ყოფნა ფრონტზე მეტი საჭიროა ვიდემ სხვაგან და ფრონტის გამარჯვებაზეა დამოკიდებული რევოლუციის გამარჯვებაც.

◆ ამ ბოდი დროს ქუთაისში საგრძნობლად დაბრა.

◆ სიდამო. დღეს - 27 მაისს ქუთაისის საზოგადო საკრებულოს სახმირო დარბაზში გაიმართება დრამატიულ-მუსიკალურ—ვოკალური საღამო ცეკვით და ვახშმით.

მოხსენება. ხარკოვიდან ჩამოსული ილ. ღუნტი ამ დღეებში ქ. ქუთაისში წაიკითხავს მოხსენებას ქართველებისა და უკრაინელების ბლოკის შესახებ ავტონომიის მოთხოვნის გამო.

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ცნობა იყო მოთავსებული, ვითომცდა აღმასრულებელ კომიტეტების წევრს გრ. ცხაკაიას კომიტეტისათვის ეთხოვოს, რათა ის წარდგენილ ყოფილიყო საგლეხო საკრებულოს წევრად. ეს ცნობა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, სწორი არ არის. ბ-ნი გრ. ცხაკაია ყოფილა წარდგენილი აღნიშნულ თანამდებობაზედ, მაგრამ კავკასიის დროებით კომიტეტს პრინციპიალ-დ გარდაუწყვეტია, რომ ყოველი წარდგენა გატარებული იყოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან რის გამოც კავკასიის დროებითმა კომიტეტმა ეს წარდგენა ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს გამოუგზავნა განსახილველად.

◆ **დაპატიმრება.** მაზრის კომისარი ბ-ნი ბერძული აუწყებს ქუთ. აღმ. კომიტეტს, რომ მას გადმოსცეს ბაღდათის რაიონში შეპყრობილი შოთაძე, რომელსაც სოფელი ავკაცობაში ამტყუნებს. შოთაძე ამ ჟამად ქუთ. სატაძიმროში იმყოფება და ციხის უფროსმა არ იცის, თუ ვისი განკარგულებით არის იგი დატუსაღებული. აღმ. კომ. ბერძულს აცნობებს, რომ მას შოთაძის წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არ მოეპოვება მაგრამ, რადგან მისი დაბრუნება სოფელს აღელვებს, ამიტომ იგი აღმ. კომიტეტის შესაფერ განკარგულებამდე უნდა დარჩეს ქუთაისის სატუსაღოში, რის შესახებაც უნდა ეცნობოს სატუსაღოს უფროსს.

ავრეთვე სადგ. შუხიან'ში დაპატიმრეს რკინის გზის მეირე ფუთურიძე, რომლის წინააღმდეგაც მცხოვრებნი რამდენიმე ბრალდებას აყენებენ. აღმ. კომ. განკარგულებით ფუთურიძეს საქმე უნდა გადაეცეს გამომძიებელ კომისიას.

პროვინცია.

ეროვნულ დემოკრატულ პარტიაში.

◆ **ფოთი.** 25 მაისს ქ. ფოთში გაიმართა საქართველოს ეროვნული დემოკრატიულ პარტიის ადგილობრივ კომიტეტის ყრილობა. ყრილობას დაესწრო ბ-ნი ვასილ წერეთელი, რომელმაც დაბრუნების საზოგადოებას აუხსნა და განუმარტა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მრწამსი. დაწვრილებით შემდეგ.

◆ **თერჯოლა.** მაზრის კომისარი ბ-ნი საყვარელიძე ქუთაისის გუბერნიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს, რომ 24 მაისს სოფ. თერჯოლაში ბოროტ-გამზრახველებმა მოჰკლეს ეკალო გ. ჯუმბერიძე და გაცარცეს მისი ცოლი, რომელსაც წაართვეს 2000 მან. ფული.

თბილისი.

◆ დაფუძნებელ კრებაზე მომწყობ იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე კოკოშკინი სთხოვს მას, რომ კომისიაში მუშაობის მონაწილეობის მისაღებათ ქართველებმა გამოგზავნონ თავისი ორი წარმომადგენელი. ამის გამო დეპუტატმა აცნობა ს. ფ. ნაც. დემ. და ს. რ. აერჩიათ ერთი წარმომადგენელი. სოც. დემ. გაგზავნეს ევ. გეგეჭკორი.

— **უკრაინელებისა და ქართველების ბჭობა.** მაისის 24-ს გაიმართა ქართველ სტუდენტთა კრება. მოწვეული იყო მომავალ ქართველ სტუდენტთა კონფერენციის მოწვევის გამო. კრებამ გადასწყვიტა კონფერენცია მოწვეულ იქნას თებითვის 15-ს ქ. თბილისში. ამ კრებას დაესწრო ხარკოვიდან ჩამოსული ხარკოვის ქართველ და უკრაინელ ეროვნულ-პოლიტიკურ ბლოკის კომიტეტის წევრი ილარიონ ღუნტი, მან ვრცლად მოახსენა ამ ბლოკის ისტორია და მისი მიზანი. თავის მოხსენებაში მან აღიარა, რომ უკრაინელებმა ერთხელ მად გადაწყვიტეს, მხარი დაუჭიროს ქართველებს ავტონომიის მოთხოვნაში და მათთან ერთად განახორციელონ ამ ორი ჩაგრული ერის მისწრაფებანი კრება ტაშის ცემით შეხვდა ამ განცხადებას. ი. ღუნტი კომიტეტისაგან არის გამოგზავნილი თბილისში, რომ უკანასკნელთა და ქართველთა ბლოკი აქაც მოაწყოს. ამ მიზნით ის ქ. თბილისში გამართავს შეერთებულ კრებას უკრაინელთა და ქართველთა. თბილისიდან ამბავ მიზნით ი. ღუნტი გაემგზავრება ქ. ბაქოში, თანდათანობით ამ ბლოკში შედეგ სხვა ჩაგრული ერებიც. ზოგი მათგანი ხარკოვში უკვე შევიდა ბლოკში. ასეთივე ბლოკები არსდება დღეს რუსეთის ყველა ქალაქებში.

◆ **შეკვეთებისა და შემამუშავებელთა ყრილობა.** მაისის 24-ს თბილისის მეეენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ ამიერ კავკასიის მეეენახეთა დმ მეღვინეთა დელეგატების კრება გამართოს თიბათვის 4-ს. კრება იმართება ხსენებულ კომიტეტის თაოსნობით და ამიერ კავკასიის კომისარიატის ნებართვით, რომელმაც კრების საჭიროებისათვის 500 მანეთი გადასდვა.

◆ **ფრანტის ყრილობის დასრულება.**

◆ **განთავისუფლება.** ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულ საგამომძიებლო კომისიის დადგენილებით განთავისუფლებულ იქნა სატუსაღოდან ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი პოლკოვნიკი ზაკუსოვი, რომელიც ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ფრონტზე დატუსაღეს. ზაკუსოვს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ თბილისიდან არსად წავა.

— **სენატორი რუაძე.** თბილისში ჩამოვიდა სენატორი რუაძე, რომელსაც იუსტიციის მინისტრისაგან დაევალებული აქვს გამოიძიოს თბილისის სამოსამართლო პალატის იმ დროინდელი მოქმედება, როცა პალატის თავმჯდომარედ იყო სენატორი ნ. ნ. ლაგოდა და პალატის შემადგენლობას თავისი სურვილების შესრულებას უფრო უკარნახებდა, ვიდრე კანონებისას. სენატორი რუაძე უკვე იყო პალატაში და იქ, სხვათა შორის, ვეძლოთა საბჭოს ზოგიერთ წევრებს გაეცნა. რუაძეს თან ჩამოჰყვა სამოსამართლო უწყების რამდენიმე მოხელე, რომელთაც სენატორი გამოძიების დროს დაიხმარებს.

◆ **თბილისის საადგილ-მამულო სათავადაზნაურო ბანკის** რწმუნებულთა კრება. კრება მოხდა მაისის 2-ს. თავმჯდომარეობდა გ. გვეზავა. განხილულ და დამტკიცებულ იქმნა ბანკის 1916 წლის ანგარიში. წლიური ბალანსი ანგარიშისა უდრის 61.161.022 მან. 14 კაპ. წმინდა მოგება დარჩენილა 610 486 მან. 42 კაპ. შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1917 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომლითაც ხარჯი ნავარაუდევია 343.498 მან. 70 კაპ. ავრეთვე კრებამ მოისმინა გამგეობისა და კომისიების რამდენიმე მოხსენებანი და შეიწყნარა. ბოლოს მოხდა არჩევნები. ბანკის დირექტორად არჩეულ იქმნა ისევ ს. რ. ვახვახიშვილი. დამფასებელ კომისიის წევრებად ისევ ლ. ჩერქეზიშვილი და ნ. ნ. ცრისთავი, და ზედამხედველ კომისიის წევრებადაც ძველები —გ. დ. ცურული, ი. ი. ზუმბაძეშვილი და ა. ნ. ჭავჭავაძე.

◆ **თბილისის მილიციის უფროსის** თანაშემწედ დაინიშნა ა. ი. ტატიშვილი.

◆ **ყრილობა.** მაისის 14-ს გაიხსნა მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობა. კრებები ყოველ დღეა. როგორც გავიგეთ ყრილობა ამ დღეებში დასრულდება.

◆ **ჩხეიძეს.** დამფუძნებელ კრების მომწყობ იურიდიულ კომისიის თავმჯდომარე კოკოშკინისგან მიღო დეპეშა, რომლითაც ის სთხოვს მას, რომ კომისიაში მუშაობის მონაწილეობის მისაღებათ ქართველებმა გამოგზავნონ თავისი ორი წარმომადგენელი. ამის გამო დეპუტატმა აცნობა ს. ფ., ნაც.-დემ. და ს. რ. აერჩიათ ერთი წარმომადგენელი. სოც.-დემ. გაგზავნეს ევ. გეგეჭკორი.

მთიელთა კავშირის კონსტიტუცია.

როგორც ვიცით ამასწინედ კავკასიაში მთიელთა ყრილობა იყო. ამ ყრილობამ შეიმუშავა მთიელთა კავშირის კონსტიტუციის მუხლები. მოგვყავს სავსებით ეს მუხლები.

§ 1. კავკასიის მთიელთა კავშირი ძმობას ამყარებს სხვადასხვა მთიელთა შორის, ამას გარდა უკავშირებს თავის წრეს თურქმენებს, ნოღაელებს, თავის მხრივ მთიელი ეს კავშირი შედის კავკასიის მაჰმადიანთა კავშირში. მთიელთა კავშირის უახლოესი მიზანი არი რევოლიუციის დამკვიდრება და მთიელთა ხალხის დაცვა პოლიტიკურად, ეკონომიურად და ეროვნულად.

§ 2. შეიერთებელ ორგანოებად ითვლებიან: ა) დელეგატთა ყრილობა და ბ) შეერთებულ მთიელთა ცენტრალი კომიტეტი.

§ 3. დელეგატთა ყრილობაში არიან მთიელების თურქმენების და ნოღალების წარმომადგენელები. თითო დელეგატს ირჩევს 15 ათასი მცხოვრები.

§ 4. შეერთებულ მთიელთა ცენტრალ კომიტეტში არის 15 კაცი. ამათში დაღეთის წარმომადგენელი 4, თერგის 4, ყუბანის 2. მთიელთა 2, შავი ზღვის ნაპირის მთიელთა 2 და ერი სტავროპოლის მთიელთა წარმომადგენელი.

ამას გარდა ყველა თემს უფლება ეძლევა ეიყოლიოს თავის წარმომადგენელი კავშირში თუ ამას საჭიროდ დროულად განსაკუთრებულ ვითარებაში ორივე წევრზე არ ეყოლებათ ერთი და ორი ხმოვანი წევრები თავიანთ წრეში ირჩევენ თვითმყრობარეს.

დაღესტნის ერთი წარმომადგენელი მუდამ თემირ-ხან-შურაში იმყოფება, იგიაც კავშირის დაღესტნის სექციას ხელმძღვანელობს, სხვები კი კავკაზში იმყოფებიან. საჭიროების დროს დაღესტნის სექცია მთელი შემადგენლობით კავკაზში მიდის და მონაწილეობას ღებულობს ცენტრალ კომიტეტის სხდომებში. უკანასნელ მთიელთა წარმომადგენლებიდან ერთი მუდამ კავკაზში იმყოფება და მეორე კი ხელმძღვანელობს ამ კავშირის სექციას უკანაში.

5. ცენტრალი კომიტეტის წევრები და კანდიდატები არჩეულ იქნებიან დელეგატთა ყრილობაზე თითო ოლქიდან თუ გუბერნებიდან ცალ ცალკე, ყრილობის არ ჩეენების დროს არჩეულთა სექციებად არ ჰყოფს.

6. ცენტრალი კომიტეტი ცხოვრებაში იმ პროგრამას ანხორციელებს, რომელიც დელეგატთა ყრილობაზე იქნება შემუშავებული.

7. თუ მთიელთა შორის რამე უთანხმოებამ იჩინა თავი პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ნიადაგზე და თუ ამ უთანხმოების შინაურად არ მოეღო ბოლო, მაშინ ცენტრალი კომიტეტის მოვალეობას შეადგენს სათანადო გადაწყვეტილების და უთანხმოების ბოლო მოუღოს.

8. ცენტრალი კომიტეტი იცავს ინტერესებს როგორც მთიელთა მცხოვრებლებისას ისე კერძოდ ამა თუ იმ თემის ინტერესებს.

9. ცენტრალი კომიტეტის ყველა დადგენილებანი სავალდებულოა კავშირის ყველა წევრისათვის. თუ რომელიმე წევრი არ დამორჩილა დადგენილებას, მაშინ კავშირიდან გამორიცხული იქნება.

10 შეერთებულ მთიელთა ცენტრალი კომიტეტი ჰგზავნის თავის წარმომადგენელს კავკასიის მაჰმადიანთა კავშირში.

11. შეერთებულ მთიელთა კომიტეტს აქვს თავისი ფონდი, რომელიც ცენტრალ კომიტეტის განკარგულებაშია.

12. პროპაგანდის და რეკრუტაციის დამკვიდრების გულისთვის ცენტრალი კომიტეტი გამოსცემს კავკაზში ყოველ კვირულ გაზეთს, რუსულ და არაბულ ენებზე, სახელად „მთიელთა ცხოვრებას" ამას გარდა ჰპირთავს მიტინგებს და ლექციებს.

13. ცენტრალი კომიტეტის და დელეგატთა ყრილობის სხდომები კანონიერია თუ ნახევარზე მეტი წევრი გამოცხადდა საკითხების გადაწყვეტა ხმის უმეტესობით იქნება.

„სქ".

ომი.

ეს ორი დღეა ბრძოლის ასპარეზებზე მოქმედება შეჩერდა. ამ ჟამად დიდ ყურადღებას იქცევს ის საშინი სულიერი განწყობილება, რომელიც რუსის ლაშქარში შეიქმნა. ჯარი ხშირად უფროსებს აღარ ემორჩილება და შტაბის განკარგულებას აღარ ასრულებს. ოფიციალ-ნობაა, რომ ქ. კორნ'ილოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო კოლიციურ მთავრობას არ ემორჩილებაო, დასავლითის ასპარეზზე რუსის ქვეითი ჯარს და არტილერიას შეტაკება მოსვლიათ, რადგან არტილერია გერმანელებს უშენდა, ხოლო ქვეითი ჯარი კი ამავ დროს მოწინააღმდეგესთან დამძიმებლებას გაგრძობდა საფრანგეთის დასახმარებლად იყო გაგზავნილი რუსის ჯარი რომელსაც, გერმანელებთან შერიგება დაუწყია და ბრძოლაზე უარი განუცხადებია, რის გამოც იგი საფრანგეთის სამხედრო ბანაკს მოწინავე პოზიციებიდან მოუხსნია და რუსპუბლიკის შეიარაღებით წაუყვანია. ცხადია რუსის სარდლობისათვის ამ ხანად მეტად მწვავე კითხვად ჯარში წესრიგის, დისციპლინის აღდგენა.

თუ ჯარის სულიერი განწყობილება არ იქნება დაცული, ისე, აშკარაა, არც თავდაცითი ომის წარმოება შეიძლება და არც შეტევა. ომის ჩჭარ ლაკვიდაციისთვის მიუცილებელია ერთ-ერთ გზაზე დადგომა, ან ძლიერი შეტევა და ან ძლიერი თავდაცვა, რასაც რუსეთი დღევანდელ პირობებში ვერ ახერხებს, გერმანელთა კი ძლიერ სარგებლობს რუსის ჯარის სულიერ განწყობილებით და დასავლეთის ასპარეზზე საქმეს იკეთებს.

ჯან.

უკანასკნელი ამბები

გერმანელები რუსეთის შესახებ. დღეს დაგვიანებით გერმანიის გარშემო შეკრებილი კონსერვატიული დაანეკსიონისტური წრეები და უფრო ვიდრე აღიარებენ, რომ ამიერიდან რუსეთის სერიოზულ მოწინააღმდეგეს ჩათვლა შეუძლებელია. რუსეთი მათის აზრით ნაწილდება სხვადასხვა ტომებად, ოლქებად და სამხედრო ჯგუფებადაც კი. არამის თხრილებს თავს ანებებს და მთელს რუსეთში სიმშილის საწინააღმდეგო მოძრაობაა(!) ამ მდგომარეობის დროგრ. რენენკამპის ორგანოს შესაძლებლად მიაჩნია რეაქციული კვეკხლში გახვეულ ქვეყნის გაჭირვების გამოყენება თავიანთი მოთხოვნილების განსახორციელებლად. პირაქეთაო, სწერს გაზეთი, ეხლა უფრო, ვიდრე სხვა დროს – ჩვენ უფლება გვაქვს კონტრიბუციისა და ჩვენი კოლონიზაციისათვის საჭირო ოლქებისაო.

სრულიად რუსეთის გლეხთა კრილოგა.

(მიწის კითხვა)

მიწის კითხვის შესახებ მოხსენებას კითხულობს მიწად მოქმედების მინისტრის ამხანაგი ა. ვიხლიაევი. ვიხლიაევი აღნიშნავს, რომ გლეხთა ცხოვრების კეთილდღეობისთვის ერთი უმთავრესი პირობაა, სასოფლო სამეურნეო ძალთა განვითარება, რომელიც ინტენსიურად უნდა სწარმოებდეს აგრარულ რეფორმის მოხდენის შემდგომ. ამისთვის მომხსენებელის აზრით მიუკლებელია, რომ ნიწი ყველასათვის თანასწორად იქმნეს განაწილებული და მასზე ყველასთვის ერთი სამოსმხარებელო კანონი არსებობდეს. საჭიროა გაუქმებულ იქმნას საიჯარო მიწის კრედიტი. რომ მთელი ხალხი მეურნეობის საწარმოო მანქანებით უზრუნველ ყოფილი იქნეს, ამისათვის აუცილებელია, რომ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანომ შეიძინოს ეს იარაღები თუ საჭირო მასალები და მერე სოფელი ასარგებლოს თანასწორად. ა. ვიხლიაევის შემ. მოხსენებას კითხულობს ს. მასლოვი. მასლოვი მოითხოვს, რომ მიწები, რომლებიც დღემდის იჯარით ეძლეოდათ გლეხებს დღეიდან უნდა გადაეცეთ საადგილ-მამულო კომიტეტებს. თუ მიწები გრძელ ვადით არი საიჯაროთ გაცემული, მაშინ ეს კითხვა უნდა განიხილოს განსაკუთრებულად და გადაწყვეტას საერთო სამართლიანობის თვალთა ხედვით. მოკლე ვადიანი იჯარების საქმე თვითონ საადგილ-მამულო კომიტეტებმა უნდა გადასწყვიტონ. იჯარა მომავალში უნდა დაწესდეს არა მარტო მემამულეთა ნებისყოფით, არამედ კომიტეტის გადაწყვეტით. საჯარო გაყიდვა მიწისა აკრძალულ უნდა იქმნას. შრომის პირდაპირი გაცვლა ისპობა, და მის ადგილს იჭერს ფულით დაჯილდოება (ე. ი. გლეხი, რომ წინად სანახევროდ ამუშავებდა მიწას და ჰირნახულის ნახევარს მემამულეს უხიდავდა დღეიდან კი იჯარას იხდის მამულზე მხოლოდ მოწეული ჰირნახული მისი საკუთრებაა).

მამულები, რომელთა დამუშავებას მეკაპუთრენი ვერ შესძლებენ, უნდა ჩამოერთვას მათ და გადაეცეს გლეხობას.

მასლოვი აღნიშნავს, რომ მოხსენებულ ზომათა განხორციელება უნდა მოხდეს მხოლოდ მშვიდობიანის გზით, მომრიგებელ კამერების დახმარებით. გამწვავებულ კითხვის დროს გადამწყვეტი უფლება ეძლევა საადგილმამულო კომიტეტებს.

ნ. დანიის პროგრამა.

იგრალეულ კითხვაში მოხსენება უნდა წაეკითხა გლეხთა ყრილობაზე იგნატიევ ლენინს, მაგრამ ის ყრილობას ვერ დაესწრო და გამოგზავნა დაბეჭდილი თავისი პროგრამა, რომლის მიხედვითაც გლეხობამ ახლავე უნდა უსასყიდლოთ ხელში ჩაიგდოს ყველა მამულები, დაამხოს ახალი მთავრობა და მმართველობის სადავე გადასცეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს.

თავის პროგრამაში ლენინი მოითხოვს რომ მიწისა და ქარხნის მუშებმა მოსპონ ფულის ხმარება და ნაწარმოები პირდაპირ გაუცვალონ ერთმანეთს. ამისათვის ლენინს საჭიროდ მიაჩნია კაპიტალისტების საფაბრიკო საქმეებიდან ჩამოცილება.

ლენინი მოუწოდებს გლეხობას საჩქაროდ მიისაკუთროს მემამულეთა საქონლის ფარა და საწარმოო იარაღები.

ლენინს ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია, საზიანოს კი არასფერს სჩადიან, არამედ თვით მწარმოებლებმა თავიანთი ხარჯით უნდა მისცენ მუშის ოჯახს 250 მანეთი თვეში.

მრეწველობის კრიზისი.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა ი. წერეთელმა მოსკოვის მუშ. და ჯარ. კაცთა დეპუტატების კრებაზე განაცხადა: ჩვენ უდიდესი ეკონომიური კრიზის-ს წინაშე ვსდგვართ და რუსეთს მასიური ხასიათის ლოკაუტი მოელისო“.

ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელი კუტლერი ამბობს, რომ ლოკაუტზე ლაპარაკიც კი მეტია, რადგან თუ ქარხნებში მუშაობა შეჩერდება, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ საწარმოო თანხები არა გვყოფნის, რათა მუშათა მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილოთო. ეს ლოკაუტი კი არაიქნება არამედ სამრეწველოების ბუნებრივი სიკვდილია.

17 მაისს მოხდა შეერთებული სხდომა დონეცის ბასეინის შუშათა და მრეწველთა დელეგაციისა, მუშათა და ჯარ. კაც. საბჭოს შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროთა წარმომდგენლებისა. თავმჯდომარეობდა დროებითი მთავრობის კომისარი ვ. სტეფანოვი. სკობელევმა სთქვა. საპუშაო მინიმალური ხელფასის კითხვა წყნარად და კერძო მოსაზრებათა შეუტანლად უნდა გადასწყდესო. მრეწველთა წარმომადგენელები აცხადებენ, რომ ისინი ვერ მისცემენ შავ შუშებს დღეში 4 მანეთს რადგანაც ეს ნახშირს, მადანს სპილენძს და ყოველგვარ მასალებს გააძვირებს, რაც გლეხისათვის აუტანელ მდგომარეობას შექმნის. მუშათა დელეგატებმა განაკვეთეს, რომ ისინი გლეხების არის, არამედ მწარე სინამდვილეა. მცხოვრებთა ყოყლეი წრე. მეტადრე კი შეძლებული კლასი, მოვალეა მსხვერპლი გაიღოს. დასასრულ წერეთელმა განაცხადა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა უწყებათა დაბალ მოხელეთა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კანონპროექტი მზადდებაო.

სკობელევმა სხვათა შორის განაცხადა: საჭიროა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება; ამისათვის უნდა ჩამოვართვათ მესაკუთრეებს ის შემოსავალი, რომელიც სამრეწველოებისა და ბანკების კასებში შემოდის. (ხმა ადგილიდან: რა გზით გსურთ ჩამორთმევა?). შეძლებულებზე დაუშვებელად გადასახადების შეწერით. საჭიროა, შეძლებულთათვის გადახდის ნორმა-ები პროც. მივუყენოთო... საუბედუროდ, მრავალმა საპქარო სახოგადოებამ დიდი დენები უკვე დაარიგა, ამიტომ შეძლებული კლასი უნდა დაიბეგროს პროგრესიულ ინდივიდურ გადასახადით. ჩემთანო – სთქვა სკობელევმა – მოდიოდენ ბბ. აქციონერები, მოჰქონდათ თავიანთ სამრეწველოების კლიტეები და სავაჭრო დავთრები და მეუბნებოდენ: „წაიღეთ ჰქმენით, რაც გენებოთო.“ მაგრამ ჩვენ მათ ვეუბნებით, ეს ჩვენ ვიცით, რასა და როდის წავიღებთო. დასასრულ სკობელევმა განაცხადა, რომ ამჟამად, თითქოს მუშები უზომო მოთხოვნებს აყენებდეს, აქციონერების გამოგონებაო.

ᲛᲔᲔᲠᲗᲔᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲪᲧᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲘ.

კავკასიის ამერიკელი კონსული იტყობინება, თუ რა ზომები მიიღო შეერთებულმა შტატებმა 49 დღის განმავლობაში, ე. ი. მას შემდეგ, რაც ამერიკა ომში ჩაერია. ამ 7 კვირის განმავლობაში ხალხის წარმომადგენლებმა მიიღეს საყოველთაო სამხედრო ბეგრის კანონი და პირველი სესხის გამოშვების დასტური დასცეს.

ამ დროს განმავლობაში ამერიკამ მოკავშირეთა განკარგულებაში 750 მილიონი დოლარი გადასცა. ამერიკის ნაღმოსანთა ფლოტილია გაგზავნილია წყალქვეშათა სამოქმედო რაიონში, სადაც იგი მოკავშირეთა ფლოტთან ერთად წარმატებით მოქმედებს. საფრანგეთის ფლოტზე გაიგზავნა ინჟენერთა 9 პოლკი, ერთი ქვეითი დივიზია და ერთიც გარდმავრნის რაზმი. 10.000 ექიმი და მრავალი მოწყალების და საფრანგეთში გასამგზავრებლად ემზადება; ნაწილი უკვე გზაში იმყოფება. ჯერ-ჯერობით საფრანგეთში გაგზავნილ ჯარის რიცხვი 100000 კაცს უდრის.

მარიამობისთვემდე ეროვნული გვარდია 400.000 დე მიაღწევს. ფედერალურ ლაშქარში უკვე ჩაეწერა 180000 მოხალისე. ფლოტების პირადი შემადგენლობა ამ 7 კვირის განმავლობაში გაორკეცდა. 40000 ახალგაზრდა მოქალაქე 16 ბანაკშია დაგროვილი, სადაც მათ ენერგიულად საომაროთ ამზადებენ. საფრანგეთთან და ინგლისთან მოლაპარაკება საფუძვლად დაედვა მოქმედებათა სრულ შეთანხმებას. მრეწველობის მობილიზაცია დამთავრებულია. დამთავრებულია მზადება ამ წლის განმავლობაში 3500 სახელო ჰაეროპლანის ასაგებად. ამავე დროს 6000 მფრინავი იქნება ნასწავლი და მომზადებული. მთელი სახელმწიფო მრეწველები თავისი ქარხნებით მთავრობის სრულ დახმარებას ჰპირდებიან. დამზადებულია ეროვნული რესსურსების ინვენტარი, რომელიც მთავრობისა და მოკავშირეთა სრულ განკარგულებაში გარდაიცემა. კონსულის აზრით ამერიკაში კლასთა ბრძოლა შეუძლებელია, რადგანაც იქ არ ასებობს კლასობრივი პრივილეგიები და მთავრობა მშრომელი ხალხის ხელში იმყოფება.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ-ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲒᲐ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში.

წერეთელი შეეხო საერთოდ მინისტრ-სოციალისტების მოქმედების დროებითს მთავრობაში. მინისტრ-სოციალისტების უმთავრესი ყურადღება საგარეო პოლიტიკა მიექცევა. საგარეო საქმეთა მინისტრს წინადადება მისცეს მოკავშირეთათვის ეუწყებინა რუსეთის პოლიტიკის ახალი მიმართულება, რაც შესრულებულ იქნა.

მინისტრ-სოციალისტებს მოლაპარაკება ჰქონდათ ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის ელჩებთან. წერეთლის აზრით, მინისტრ-სოციალისტებმა საგარეო პოლიტიკაში დიდი წარმატება მოიპოვეს.

შემდეგ წერეთელი ეხება მინისტრ-სოციალისტების მოქმედებას შინა პოლიტიკის დარგში და აღნიშნავს, რომ დაარსებულია განსაკუთრებული კომისია, რომელიც დამფუძნებელ კრების მოსაწვევად სათანადო კანონს ამზადებს.

მშრომელთა გაჭირვების შესამსუბუქებლად და სახელმწიფოს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მინისტრ-სოციალისტები გმირულ ზომებს მიმართავენ.

– ქვეყანა განსაცდელშიაო,—ამბობს წერეთელი.—ეს მხოლოდ სიტყვა კი არ არის, ეს ფაქტია. ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენ ვერ შეგვიძლია ვიფიქროთ ჩვენ ინტერესებზე,

მდეგმა სენატორებმა: გრ.უბენბერგმა, ლიუბლინსკიმ, გერნებმა, ჩუბინსკიმ, აბრამოვიჩ-ბარანოვსკიმ, შირკოვმა, სმიტენმა და ვინაგრამა.

ბრუშკო-ბრუშკოვსკის ქალის კანტისდება.

ბრუშკო-ბრუშკოვსკის ქალმა სთქვა: ,,ლოზუნგი'' ,,ომი ძირს'' ბავშვური აღსარებაა. იგი სამშობლოს დაღუპვით ემუქრება, სეპარატიული ზავი დაგმობილ უნდა იქმნას. ჩვენ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ბოლშევიკების უნდა ვიბრძოლოთ, რაც მოგვიახლოვებს სამყარო ზავსო.

სამხრის „ბოლშევიკების“ კანტისდება.

მეშვიდთა და ჯარისკაცთა მისამართზე ,,ბოლშევიკებმა'' კითხვა აღძრეს, რათა ყველა კერძო ბანკი და სანაზი კასები სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადდეს. ბოლშევიკები ამტკიცებენ, რომ კოალიციური მთავრობას არ ძალუძს დამდგარ კრიზისის გადატანა და მმართველობა ეხლავე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს უნდა გადაეცესო.

კონტრრევოლუციის და ანარქია

სარატოვში ყოფილმა ტანდარმებმა და პოლიციელებმა სატერორო კონტრ-რევოლუციური ანარქიული საზოგადოება დაარსეს. მათ სიკვდილი მიუსაჯეს რევოლუციურ ორგანიზაციების თანამშრომლებს. სამხედრო თავდაცვის კომიტეტმა ხსენებულ საზოგადოების სალიკვიდაციოდ ზომები მიიღო.

სამშობლო დაღუპვის პირას სდგას.

გაზ. ,,რუსკაია ვოლია'' სწერს: დღეს დის ამ საშინელ სიტყვებს მხოლოდ ბურჟუაზიული ელემენტები წარმოსთქვამდენ, ფარუე მასსა კი მათ სინამდვილეთ არ სთელდა. მაგრამ დღეს ეს საზარი სიტყვები განიგოროა სოციალისტმა მინისტრმა ალ. კერენსკიმ. მან სთქვა: ჩვენ უფსკრულის პირას ვდგავართ და საკმარისია ვინმემ ერთი მეჭლეუკუნი წაგვკრას, რომ უძირობაში გადავეშვათო.

ჯარისკაცთა უწყებანი.

ქ. იაროსლავში შესდგა დემონსტრაცია, რომელსაც ფრ. ადლერისთვის სიკვდილის მისჯის წინააღმდეგ რეზოლუცია უნდა გამოეტანა. სამწუხაროდ, დემონსტრაცია მეტად ცუდ შედეგით დამთავრდა. ერთი ორატორი აღნიშნავდა ,,ომის ჩქარა გათავების საჭიროებას''. მას მისცვინდენ ჯარისკაცები, სცემეს და ტრიბუნიდან ჩამოაგდეს. ორი სასიკვდილოთ დაშავდა. ჯარისკაცები მივარდენ აგრეთვე მასწავლებელთა კრებაზე (რომელიც ქალაქის ბაღში სწარმოებდა) და ხალხი გაფანტეს.

ახალ მთავრობის წინააღმდეგ.

ნიჟნი ნოვგოროდის გლეხთა საბჭომ ცნობა მიიღო, რომ მესაბე სახ. სათათბიროს წევრი გლეხოვსკი სოფელ-სოფელ დადის და ახალ მთავრობის წინააღმდეგ ხალხს ამხედრებსო. გლეხთა საბჭომ დაადგინა გლეხოვსკი დაატუსაღოს.

შიშის კოთხვა.

14 მაისს ქ. ტაშკენტში დაიწყო მიწის კითხვის წინასწარ-განსახილველი მუშაობა.

ახალი გაზეთი.

კავკასიის სასულიერო პირთა ყრილობაზე გადასწყდა, დაარსდეს ცალკე ოსური სამღვდელმთავრო ეპარქია.

,,ხულიგნობა''.

ტობოლის გუბერნიაში ძალზე გახშირდა სხვადასხვა გვარი ხულიგნობა. ჩამოსული ჯარისკაცები ძარცვა-გლეჯას ეწევიან. მზის გადახრის შემდეგ ადამიანს უშიშრად სახლიდან გამოსვლა არ შეუძლია. ყველაზე საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან ქალები რომელთაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფას აყენებენ. სრულად რუსეთს ფოსტა-ტელეგრაფის ყრილობა.

ვაჭრეულდე რუსეთში.

18 მაისს პეტროგრადიდან მოსკოვს ჩაიდა ბელგეთის მინისტრი ვ. ვანდერველდე. მინისტრი დაესწრო ადგილობრივ ორგანიზაციების თათბირს.

სასჯელის ბატება.

7 მარტს ფინეთში მომხდარ ამბოხების გამო პასუხისგებაში მიცემულთ დროებითმა მთავრობამ სასჯელი ბატია.

არჩევნები სახ. საბჭოში.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა, გაუქმდეს სახ. საბჭოს წევრის მთავრობის მიერ დანიშნა და დაწესდეს პირდაპირი არჩევნები.

სენ. რუდჟის გადადგომა.

გაზ. ,,რეჩ''-ს გადმოცემით, სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორი რუაძე თანამდებობას თავს ანებებს. მის მაგიერ დაინიშნა სტარიცკი.

ქალი მინისტრის ამხანაგად

საზოგადო უზრუნველყოფის მინისტრის ამხანაგად ასახელებენ სახ. მოღვაწე ქალს ლავრინოსს.

სასწავლო მეურნეობისათვის

სახალხო განათლების მინისტრი მანუილოვი ცირკულიარით მიმართავს სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს, რომ წელს სასოფლო მეურნეობის საქმეში იშუაონ, როგორც მოწაფეებმა, ისე პეტროგრადში. მოწაფეთ შეუძლიან სოფლად დარჩენა ენკენისთვის პირველ რიცხვებამდე.

ეროფელ შეფე ნიკოდიმს ასეგ ჰეტრე პავლეს სამართალებაში პირუნებენ

ფრონტის ყრილობამ რეზოლუცია გამოიტანა, სასტიკი თვალყური აღევნონ დატუსაღებულ მეფეს და მის ამალას. ფრონტის ყრილობამ დაადგინა, მეფე ცარსკოე-სელოდან ისევ პეტრე-პავლეს სატუსაღოში იქმნას გადაყვანილი.

ანტანდგენტუს ჩამა.

ნიჟნი-ნოვგოროდის გლეხთა ყრილობამ სურვილი გამოსთქვა, რომ უბრალო გლეხებთან ერთად სოფლის ინტელიგენტურმა ძალებმაც მიიღონ მონაწილეობა საოლქო კომიტეტებში.

პურის მოხდება.

ხორბლის ჰირნახულზე მაგარი ფასების აწევის გამო, გლეხებმა სევასტოპოლში მოხდეს რკინის გზაზე თვიში უამრავი პირნახული. სამხრეთის რკინის გზის ბელღები გატენილია პურით. რკინის გზა ვერც კი ასწრებს ხორბლის დანიშნულებისამებრ მიხედვას.

კადეტისაგან შეტანის შეწერება.

ნიჟნი-ნოვგოროდში მოხდა ყრილობა ხარკ-ამკრეფ ინსპექტორებისა, რომელმაც აღნიშნა, რომ მთელს გუბერნიაში მცხოვრებლებმა შეაჩერეს ხარკის გადახდა, და დადგინა მიმართოს დახმარებისათვის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს.

რუსის ხალხის კავშირის ფუძება.

მელიტოპოლის აღმასრულებელ კომიტეტს რუსის ხალხის კავშირის 4000 მანეთი დაუპეჭდა; ეს შეუტყობინებია იუსტიციის სამინისტროსათვის, რომელსაც უპასუხნია, რომ თავისუფალ რუსეთში შეუწყნარებელია ფულის დაკავება მხოლოდ იმისთვის რომ ეს ფული რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციის კუთვნილებას შეადგენს.

უცხოეთი.

გერმანელი ფანტაზია.

„კელნის გაზეთი“ ორიგინალური გემის წინადადებას იძლევა სამთა კოალიციისას, რუსეთის, გერმანეთისა და იაპონიის სახით. გაზეთი ჩრევას იძლევა, რომ რუსეთი მოხიბლულ იქმნეს შუა აზიის მიცემით და სრუტეებზე თავისუფალი გასვლით. გრაფი რეკენტროფი იწონებს რუსეთთან და იაპონიასთან დაახლოებას, ხოლო ამ კომბინაციის სისრულეში მოსაყვანად მას რუსეთის მოხიბლვა კი არ მიაჩნია მიზან შეწონილად, არამედ ინგლისის დაქცევა, რადგან რუსეთს უნდა დაინახოს, რომ ინგლისელები იმდენად არც სასარგებლონი არიან და არც მავნებელნი, როგორც გერმანელებიო.

ჯახვლერის შეგდომა.

გერმანეთის ცნობილმა პუბლიცისტმა ვოლფმა განაცხადა: „რუსეთის რევოლუციურ მინისტრთა სიტყვები თანდათანობით ააშკარავებს, რომ რუსეთი სეპარატიულ ზავს არ ჩამოაგდებს; ამიტომ ყოველი ჩვენი ცდა, რუსეთს ასეთი ნაბიჯი გადავადგმევინოთ, შეცდომა არის. პირიქით, ჩვენ რევოლუციურ მთავრობას უნდა განვუცხადოთ, რომ ყველი ჩვენს მოწინააღმდეგესთან შეთანხმებული ზავი გვსურს. მაშინ რუსეთი ვეკონობას გაუწევდა ზავის იდეას“. ვოლფი ამტკიცებს, რომ კანცლერი წინდაუხედავად მოიქცა, როდესაც ის რუსეთს შეჰპირდა ყოველგვარ ბედნიერებას, ამით კანცლერმა ხაზი გაუსვა რუსეთსა და მის მოკავშირეთა შორის განსხვავებას; რუსეთი კი არასოდეს არ უღალატებს მოკავშირეთ.

რუსის მანეთის კურსის დაცემა ფრანგეთში.

იმის შემდეგ, რაც პარიზში ცნობა მივიდა რუსის მთავრობის ახალი საფინანსო პროექტისა, იქ მოკლე ხნის სმენაცის შემდეგ, რომელიც კოალიციურ სამინისტროს შეეხებოდა გამოიწვია. 16 მაისს სადრძნობლად დაეცა რუსის მანეთის ღირებულება. კურსი რუსის მანეთისა 150 ფრანკიდან 154 ფრანკამდის დაეცა. ასეთი დაცემა რუსის მანეთს უმძიმეს კრიზისის მომენტებშიც კი არ ახსოვს.

10 მაისს ფინანის მინისტრმა დასწია რუსის მანეთის საფასობელი 194 მარკამდის 100 მანეთზე.

რუსის ჯარების სიფრონტედან მოხსნის.

„რუსკაია ვოლია“-ს №118 იტყობინება: ჩვენ ცნობები მივიღეთ, რომ საფრანგეთის უმაღლესმა სამთავარსარდლომ მოახსნა რუსის ჯარები ფრონტიდან და საფრანგეთის შუა გულში გაიყვანა.

ამ ზომის უახლოესი მიზანი ის ყოფილა, რომ რუსის ჯარებში ფრონტზე დემორალიზაცია დაწყებულა, დისციპლინა დარღვეულთ და გერმანელებთან დამოძმებილება დაწყებულა.

პასუხი პაპაკი ნიშნიანიძეს.

ბ-ნო აკაკი!

თანახმად თქვენის თხოვნისა, რომელიც მომთხოვნეთ იმ პატივცემულ გაზეთის-„ჩვენი ქვეყანა“—ს (იხ. № 35) საშუალებით გაძლევთ პასუხს.

1.) საღორაის აგარაკის გამგის თანაშემწის თავისუფალ ადგილზე კანდიდატის ასარჩევად ჩვენ არ მოვიწვიეთ ბ-ნი ახველედიანი, გოცირიძე, ოდიშარია ჯიქიძე და ყუბანელი ილია მიზეზით, რომ ქალაქის თვითმართველობის ყოველ დაწესებულების ცალ-ცალკე თავ-თავისი მოსამსახურეთა კავშირი აქვთ და თავიანთი წარმომადგენლებიც ჰყავთ. ახლად დანიშნული ქალაქის აფთიაქების მოსამსახურეთა კავშირის. გოცირიძე ამ გვარივე წარმომადგენელია ქალაქის საავთმყოფოსი, ოდიშარია ქალაქის მასწავლებლებისა, ჯიქიძე და ყუბანელი ქალაქის მეფორენეებისა და სანიტრის მუშებისა. აკაკი იოსელიანი, პავლე გოკიოლი და თქვენი მოპასუხე ფურცელაძე გახლავართ წარმომადგენლები იმავე თვითმართველობის კანცელარიისა, ბუხგალტერიისა, ტექნიკური განყოფილებისა, საღორაის ტყისა, ბიბლიოთეკისა და სხვადასხვა დარგის ქალაქის მოსამსახურეთა კავშირისა.

თუ რომელიმე საკითხი ან საქმე შეეხება ქალაქის თვითმართველობის ინტერესებს ან მის ყველა დარგის მოსამსახურეებს, მაშინ ყველა დარგის მოსამსახურეების წარმომადგენელნი ერთს სხდომასა ვნიშნავთ და ერთად ვწყვეტთ საქმეს. მხოლოდ თუ საკითხი შეეხება ერთს რომელიმე ქალაქის დაწესებულებას, მაშინ მარტო ამ დაწესებულების წარმომადგენელნი სწყვეტენ ამ საკითხს და სხვა მოსამსახურეთა წარმომადგენლებს არაფერს არ ჰკითხავენ. ეს ასეც უნდა იყვეს და ასეცა ხდება. აი მაგალითად ქალაქის აფთიაქებში ბარე ცხია კაცი დანიშნეს ახალი მოსამსახურე და ჩვენთვის არაფერი უკითხავთ. ამ გვარივე მაგალითი მოხდა ქალაქის საავთმყოფოშიაც. საღორაის აგარაკის მოსამსახურის ადგილზე კაცის დანიშვნა კი მხოლოდ ჩვენი და ქალაქის გამგეობას შეეხებოდა. ამიტომ ჩვენ, სამივე ამ დარგის მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა, შევკრიბეთ ცნობები, შევეკითხეთ ჩვენი თანამოსამსახურეთა უმრავლესობას, შევიკრიბენით, გადავწყვიტეთ და წარუდგინეთ ქალაქის გამგეობას ჩვენი კანდიდატი, ამ უკანასკნელმაც ჩვენი კანდიდატი დაამტკიცა. სხვისთვის არაგვისთვის არც გვკუთხავს და არც ვალდებულნი ვიყავით, რომ გვე კითხა.

ზნეობრად გამიგონია თქვენგან ბ-ნო აკაკი, რომ თქვენ ცხარე დაწუკული ბრძანდებოდით ავტონომიისა და გასაოცარია, რომ—პაპაწყანტელა ავტონომიის ღანდის დანახვამაც კი შეგაწუხათ.

2.) თქვენ მეკითხებით: „რატომ ეს საკითხი, თანახმით ერთი ბიუროს წევრის მოთხოვნილებისა, ფარული კენჭის ყრით არ გადაწყვიტეთო.“ ეს სიმართლეს მოკლებულია. ამ გვარი აზრი არც ერთს ბიუროს წევრს არ წარმოუთქვამს და არც შესაძლებელი იყო ასეთი წარმოეთქვა, რამე თუ ყველამ კარგად იცის, თქვენს გარდა, რომ ფარულს კენჭის ყრას მხოლოდ მაშინ მიმართავენ ხოლმე, როცა კრება მრავალ-რიცხოვანი და მრავალ-ხმოვანია. აი მაგალითად ქალაქის ხმოსნების არჩევნებზე ან და დამფუძნებელი კრების არჩევნებზე. ამისთანა პატარა კოლეგიალურ დაწესებულებაში კი, სადაც მხოლოდ სამი ამხანაგია, არავითარი ფარული კენჭის ყრა არ შეიძლება და სირცხვილიც არის. სირცხვილი არის იმიტომ, რომ ეს გამოვა სამი ამხანაგის შორის უნდობლობა და თავისი აზრის ხმა მაღლა გამოთქმის გაუბედობა.

ასე ბ-ნო აკაკი! გაგიკვირდი კი რამ ზარმაცა რეკავენ, მხოლოდ სად და როგორ უნდა დერეკონ, ეს კი ვეღარ გაგიგიათ.

3) თქვენ მეკითხებით: „რატომ გაზეთში არ გამოვაცხადეთო, თუ კი ქალაქის მოსამსახურეთა შორის არ მოიპოვებოდა შესაფერი პირი ამ თანამდებობის შესასრულებლათო?

ის პირი, რომელიც ამ ადგილზედ დანიშნეს, თქვენც კარგათ იცით, რომ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეა და, არამც თუ მარტო ჩვენს, სამის კაცის, შეხედულების, არამედ თითქმის ყველა ჩვენი თანამოსამსახურეთა აზრით, ძალიან შესაფერიც არის ამ ადგილისათვის. მაშასადამე, თვით თქვენის შეხედულებითაც კი საყვედურის ღირსი სულაც არა ვართ.

ამ პირობა დაიშახურა ყველა მოსამსახურების შორის პატივისცემა და სიყვარული. ამას ჩვენ ყველანი ვიცნობთ, როგორც პატიოსანს, შრომის მოყვარეს და მკვირცხლი ხასიათის ადამიანს. სწორედ ამისთანა კაცი იყო საჭირო ამ ადგილზედ. მით უმეტეს, რომ ამ ადგილზე არ დაგვენიშნა, სასურსათო განყოფილების გაუქმებისა გამო, ის პირი სულ უადგილო დარჩებოდა. ჩვენ გვპირდებოდა კარგი ტაის-გამგე. ამისი შესაფერი ადამიანი ვნახეთ და დავნიშნეთ.

მაშ რა ნახეთ ამ საქმეში უკანონო? რათ გამოიტანეთ ეს ამბავი პრესაში? თქვენც ქალაქის გამგეობაში მსახურობთ. ჩვენთან ერთად, ერთ ჯერ ქვეშ და თუ რამეში შეცდით, რატომ ჯერ ამხანაგურად სიტყვიერად არ მოგვპასუხეთ?

რაკი ასეა, ამბობ დავანახებეთ პატივცემულ მკითხველს, რომ ჩვენ კარგად გვიცნობართ, არ შევმცდარვართ და არც ღირსი ყოფილხართ არავითარი წერილებისა.

ბ-ნო მკითხველო! საქმე მხოლოდ იმაშია, რომ აკაკი ნიშნიანიძემ წერილობითი თხოვნა შემოიტანა; სიტყვიერადაც ძალიანა სცდილობდა ამ ადგილის მიღებასა და რაკი უპრატესობა სხვა პირს მივეცით, ამიტომ გამოილაშქრა ჩვენზე, რამდენად ლამაზი პრესის შეცდომაში შეყვანა და ამხანაგებზედ უსიფქვლოთ გამოლაშქრება, ამისი სამართლიანი მსჯავრი თქვენ თითონ დასდეთ, პატივცემულო მკითხველო.

მე კი ბოდიშს ვიხდი თქვენდამი, რომ ძვირფასი დრო წაგართვით და პატიოსან სიტყვას გაძლევთ ამიერიდან წერილობითი პასუხი აღარ გაგცე ბ-ნს აკაკის.

ნესტორ ფურცელაძე.

შემოწირულება.

მოკალაქე რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ მადლობა გადაუხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით იმ პირთ, ვინც კეთილ-ინებით და ერთ-დროული ძახმარება აღმოუჩინა ახლად დაარსებულ სოფ დღნორისის (ლეჩხუმ. მ.) წიგნთ-საკეთ საძკითხველოს.

აი ეს პირებიც ხუთი მან. კ. დათეშიძემ. სამ-სამი მან. ს. ყუნაიძემ, ნ. ქიქოძემ და ილ. ნიკორაძემ. ორი მან. და რვა კაპ. მ. ჩიხლაძემ ორი მან. ბ. ასათიანმა. მანეთნახევარი, დ. ასათიანის ასულმა და ს. ბერძენაძემ. თითო მანეთი: ვლ. ჩხეიძემ, დ. ჩაკვაიძემ, პ. ყიფიანმა, რ. ფარქოსაძემ ს. შარაშენიძემ, სანიკიძემ, დ. ხელთუფლიშვილმა, ბ. ხონელიძემ, ალ. ფიფურაშვილმა, ნ. წულაძემ, დ. ლორთქიფანიძემ, ნ. ქათამაძემ, ს. ჯაფარიძემ, ლ. ჩიკვანაძემ, ალ. ჯაფარიძემ, ს. ბაქრაძემ, ალ. ჯაფარიძემ, ს. ბაქრაძემ, ალ. ჯაფარიძემ, ს. ბაქრ